საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან ნემსაძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 26.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ლევან ნემსაძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის მიზნით, რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ ლევან ნემსაძის შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული), სპეციალობით მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება. ამჟამად, ლევან ნემსაძე გახლავთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე მოსამართლეობის გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე 2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

1.1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური

ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.(35[1] მუხლის მე-4 პუნქტი)

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ ლევან ნემსაძე არის პატიოსანი და კეთილსინდისიერი პიროვნება. ის მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ეკიდება პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. არის ძალიან კორექტული და სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას ყოველთვის გამოირჩევა პუნქტუალურობით და გააჩნია განსაკუთრებული დამოკიდებულება თავისი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას. გახლავთ მორალურად მტკიცე და გულისხმიერი, იურისტისათვის დამახასიათებელი დადებითი თვისებებით. ახასიათებენ, როგორც პატიოსან ადამიანს. არის მეტად პრინციპული, გულწრფელი, თავმდაბალი და საიმედო, აქვს საკუთარი შეცდომების აღიარების უნარი.

გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

ლევან ნემსაძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ექვსი ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით კანდიდატს არ უფიქსირდება სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი.

1. 2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა. (35[1] მუხლის მე-5 პუნქტი).

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით კანდიდატი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ერთ - ერთი რეკომენდატორისათვის ის არის მისაბაძი პიროვნება სწორედ სამართლიანობის კუთხით, არის ძალიან პრინციპული და ამასთანავე, გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, არ ექვემდებარება ზეგავლენას, არის პიროვნულად მტკიცე და შეუვალი უსამართლობის მიმართ.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემოიწირველი.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები არ გამოკვეთილა. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა თავისუფლად და ობიექტურად.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.35[1] მუხლის მე-6 პუნქტი.

წარმოდგენილი და შესწავლილი მასალის ასევე გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით, კანდიდატი კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას არის კორექტული, თავდაჭერილი. პროფესიულ წრეებში სარგებლობს ავტორიტეტით, ურთიერთობაში არამარტო კორექტულია, არამედ აქვს განსაკუთრებული უნარი მართოს საკუთარი ემოციები და ამასთან კოლეგებში გამოიწვიოს პატივისცემა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით ლევან ნემსაძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

ზემოაღნიშნულის და საჯარო მოსმენის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.35[1] მუხლის მე-7 პუნქტი.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე იურიდიულ წრეებში. მას გააჩნია იურიდიულ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, გააჩნია კარგი ავტორიტეტი ამ სფეროში მოღვაწე მასთან პროფესიულ ურთიერთობაში მყოფ პირებში. კანდიდატს იცნობენ, როგორც მაღალი მორალური ღირსებების მქონე ადამიანს.

ლევან ნემსაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შეივაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ლევან ნემსაძე **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის ლევან ნემსაძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.35[1] მუხლის მე-9 პუნქტი.

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ანალიზისა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. შეკითხვები დაისვა სისხლის სამართლის როგორც საპროცესო ისე მატერიალური ნაწილის სფეროდან. კანდიდატმა ისაუბრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განთავისუფლების საფუძვლებზე, ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტის წესზე, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, ვრცლად ისაუბრა სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძვლებზე, განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების წესზე, განმარტა სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს არსი და სხვა.

კანდიდატმა წარმოადგენა სამართლებრივი დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ ლევან ნემსაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 2023 წლის 24 სექტემბერს.

ამასთან, 2024 წლიდან კანდიდატი არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება და სხვა.35[1] მუხლის მე-10 პუნქტი.

წარმოდგენილ სამართლებრივი ნაშრომის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის მართებულად განმარტების უნარი. შეუძლია ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავის აზრი. დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას. ჩამოყალიბებული აქვს სწორი ანალიტიკური და სამართლებრივი აზროვნების უნარი. მას აქვს სხვადასხვა სფეროში და თანამდებობაზე მუშაობის 14 წლიანი პროფესიული გამოცდილება. ამჟამად კანდიდატი გახლავთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი.

მიმაჩნია, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა არსებითად სწორად იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.35[1] მუხლის მე-11 პუნქტი.

როგორც რესპოდენტები უთითებენ კანდიდატს ნათლად და გასაგებად შეუძლია საკუთარი მოსაზრების გადმოცემა. მას აქვს სამართლებრივი ლექსიკის ადეკვატურად გამოყენების უნარი. შეუძლია ლოგიკურად მსჯელობა და აზრის გასაგებად, ლაკონიურად და დამაჯერებლად გადმოცემა.

რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, ყოველთვის მეტყველებს გამართულად, ღიაა სიახლეების მიმართ. გამოკითხული პირები უთითებენ, რომ ლევან ნემსაძეს გააჩნია კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მოსმენისა და კამათის კულტურა, ღიაობა, კამათის დროს თავისი პოზიციის სიმტკიცისა და დამაჯერებლად შენარჩუნების უნარი.

შესწავლილ იქნა კანდიდატის სამართლებრივი დოკუმენტი რომლის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ შესწევს სამართლებრივი პოზიციის დასაბუთებისას აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესში გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და გათვალისწინების უნარი.

2.5. პროფესიული თვისებები

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა. 35[1] მუხლის მე-12 პუნქტი.

როგორც რეკომენდატორები და გამოკითხული პირების აზრით, მას გააჩნია სამუშაო განრიგის ეფექტიანი დაგეგმვის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი, შეუძლია საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება. გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, გამოირჩევა საქმისადმი ერთგულებით და არის მეტად შრომისმოყვარე. მათივე აზრით, გააჩნია რთულ სტრესულ სიტუაციაში ვითარების მართვის უნარი.

პრესაში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია ლევან ნემსაძის შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად მისი არჩევის შესახებ. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატი არის მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებების მქონე, პასუხისმგებლობის გრძნობის, ანალიტიკური აზროვნების მქონე და კომპეტენტური პიროვნება.

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.35[1] მუხლის მე-13 პუნქტი.

ლევან ნემსაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრაში:

- ✓ 05.04.2016 – 07.04.2016 წ. ბორჯომი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ მიერ ორგანიზებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემის რეფორმის სტრატეგიის შემუშავების სამუშაო შეხვედრა.

ამასთან, გამოკითხული რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატი მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, მას აქვს თვითგანვითარების, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. ამასთან, კანდიდატმა წარმოადგინა საკუთარი სამართლებრივი ნაშრომი, თემაზე: „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა“.

კანდიდატი ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.7. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა.35[1] მუხლის მე-14 პუნქტი.

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების

წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად და თავისუფლად. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ინტერესი. იგი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, 2024 წლიდან კანდიდატი არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, რომლის ფარგლებშიც მის მიერ შესრულებულია ნაშრომი, თემაზე: აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა". გამოკითხული რეკომენდატორები მას ახასიათებენ, როგორც ინიციატივის და ახალი იდეების წარდგენის უნარის მქონე პიროვნებას.

<u>კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:</u>

ლევან ნემსაძე **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **91 ქულით,** რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის **(100 ქულა) 91%** შეადგენს.

ირაკლი ბონდარენკო

26.06.2025 წელი